

ზაზა აბზიანიძე, ქეთევან ელაშვილი

Zaza Abzianidze, Ketevan Elashvili

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

One Figurative Masterpiece

(Antoine de Saint-Exupéry – “The Little Prince”)

ერთი სახისმეტყველებითი შედეგრი

(ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი – „პატარა პრინცი“)

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10030>

Literary masterpieces stand out for their timelessness and, often, for crafting figurative language so skillfully that their meaning transcends any specific era. To achieve this, the author must be a virtuoso – mastering the magic of words and conveying profound artistic and philosophical depths. Antoine de Saint-Exupéry's *the Little Prince* exemplifies such exquisite figurative language, even though it is commonly described simply as a literary fairy tale.

However, the fairy-tale quality lies in the intense and unusual nature of this literary masterpiece. At the same time, it reveals a uniquely rich artistic symbolism. Through this, the author leads the reader into an associative labyrinth, teaching them to confront loneliness by befriending the “smiling star” – the Little Prince.

Here we must also take into account that Antoine de Saint-Exupéry's "The Little Prince" captivates its readers with a completely irresistible charm, because he himself, all his life (before the appearance of The Little Prince), was looking for a companion who would understand the world with an irrational vision. An unusual friend would appear, to whom dreams would not pose a threat, who would always manage to "make connections" with his heart, and most importantly, would definitely distance himself from the false pathos of wit.

Based on this set of thoughts, it is quite appropriate to "reread" the biography of "Land of Men". At the same time, we should not forget that just as the little prince returns to his tiny planet thanks to the snake, so too, when leaving the world, he finds us in a completely unusual space of thought. There, where the snake puts our whole life in mystical chains and wraps it in an incomprehensible taboo haze...

This esoteric rebus became easily recognizable to Saint-Exupéry, because he contrasted the serpent's seductive essence with a fox - distinguished by his "life-giving wisdom." It is through his insight that the little prince will master the incomparable art of "making connections" and help him overcome the unbearable pain he suffered from his planet...

In such circumstances, a rose appeared in the life of the Little Prince. This eloquent cosmic flower is saturated with "divine breath", which at the same time embodies the "center of the universe" and is universal in its charisma and fatal charm of feeling.

Naturally, we should not forget that Antoine de Saint-Exupéry was able to "read" life in this way by "co-authoring" with the Little Prince.

საკვანძო სიტყვები: სიმბოლო, პლანეტა, გველი, ვარდი, მელია
Keywords: symbol, planet, snake, rose, fox

*„მეძებრებო მე ჩემს ნაწერებში...“
ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი*

ლიტერატურული შედეგები თავისი ზედროულობით გამოირჩევიან და, ხშირ შემთხვევაში, საკუთარ სახისმეტყველებას იმგვარად ქმნიან, რომ კონკრეტული ეპოქის მიღმაც სრულიად თავისუფლად შეიძლება ტექსტი. ამისთვის კი თავად ავტორი უნდა იყოს ვირტუოზი, ზედმიწევნით უნდა ფლობდეს სიტყვის მაგიას და ახასიათებდეს მხატვრულ-ფილოსოფიური წიაღსვლები. სწორედ ამგვარი სრულყოფილი სიტყვათმეტყველების ნიმუშია ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა პრინცი“, რომელიც მხოლოდ ლიტერატურულ ზღაპრადაა სახელდებული,¹ რადგან ავტორის ორაზროვანი მინიმუმბა ცალსახად

¹ ნინო ქავთარაძის (ასისტენტ-პროფესორი, დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომანული ფილოლოგიის კათედრა) სასწავლო დისციპლინის – „ფრანგული ზღაპარი“ – ერთ-ერთი საბაზისო საკითხი პატარა უფლისწულია. სენტ-ეგზიუპერის მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის რამდენიმე ქართული თარგმანი არსებობს: ზოგის სათაურია „პატარა უფლისწული“, ზოგისაც – „პატარა პრინცი“. ეს საკითხი განხილულია სტატიაში: „მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების სათაურების თარგმნის სირთულეები“, CODFREUCOR-ის მე-8 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ილიაუნის გამომცემლო-

იქნა აღქმული: „მე ძალიან მსურს ეს ამბავი ზღაპრით მოვყვე. ამიტომაც მირჩევნია ასე დავიწყო: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა პრინცი. მასავით ციცქნა პლანეტაზე ცხოვრობდა და მეგობრებს ნატრობდა „... ის, ვისაც ცხოვრება ესმის, გამიგებს. სულაც არ მსურს, ჩემი წიგნი ვინმემ თვალის ერთი გადავლებით წაიკითხოს. ეს მოგონებები სულს მიფორიაქებს“ (ეგზიუპერი, 2003, გვ. 22-23). არადა, ზღაპრული ელფერი ამ ლიტერატურული შედეგის მძაფრ უჩვეულობაშია საძიებელი. სხვა მხრივ კი, სიმბოლოთა სრულიად განსაკუთრებული მხატვრული დიაპაზონი იკვეთება, რითაც ავტორი ერთგვარ ასოციაციურ ლაბირინთში ამწყვდევს თავის მკითხველს და მარტოსულობასთან გამკლავებას ერთ „მოცინარ ვარსკვლავთან“ – პატარა პრინცთან დამეგობრებით ასწავლის.

ეგებ იმიტომ, რომ ზრდასრულთა უმეტესობა მხოლოდ კლიშეებით ცხოვრობს და საერთოდ მიივიწყებს ცხოვრების შეცნობის ის ელემენტარული სიბრძნე, რომელიც ეგზიუპერისეული ფორმულირებით ამგვარია:¹

1. „მათ (იგულისხმება დიდები) ხომ ყველაფერი ხელისგულზე უნდა დაუდო“ (ეგზიუპერი, 2003, გვ. 12).
2. „მეგობრის დავიწყება უკურნებელი წუხილია“ (იქვე, გვ. 23).
3. „სერიოზულ კაცს ოცნებისთვის არ ცალია“ (იქვე, გვ. 48).
4. „ყველა გზა კი ადამიანებისკენ მიდის“ (იქვე, გვ. 65).
5. „დასანახს მხოლოდ გულით დაინახავ. მთავარი თვალისთვის უხილავია“ (იქვე, გვ. 72).
6. „მეგობრის ყოლა ბედნიერებაა მაშინაც კი, როდესაც სიკვდილის პირას ხარ“ (იქვე, გვ. 75).

ეს მხოლოდ არასრული ამონარიდია...

სენტენციების ასეთი პოეტური ჩამოქნა და ტექსტში იმგვარად თანწყობა, რომ ფილოსოფიური აქცენტები ოდნავადაც კი არ ამძიმებდეს მხატვრულ ნარატივს, მხოლოდ, სენტ-ეგზის² ხელეწიფებოდა.

ბა, ojs.iliauni.edu.ge/index.php/eish/article/view/581, 2022. ზღაპრის ფენომენი კი წარმოდგენილია ნაშრომში – „ზღაპარი-ინიციაცია და ფრანგული საყმაწვილო ლიტერატურა“, პროფესორ გიორგი ეკიზაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, თსუ, 2023 წლის 13 მარტი.

¹ ნაშრომში ზოგიერთი ციტატა მცირედ ინტერპრეტირებულია ავტორთა მიერ. ციტირებას ვახდენთ „პატარა პრინცის“ გიორგი ეკიზაშვილის თარგმანის მიხედვით (2003 წელი).

² სენტ-ეგზი, მას ახლობები ასე მიმართავდნენ. მწერლის სრული სახელი კი იყო – ანტუან მარი როჟე დე სენტ-ეგზიუპერი.

იმიტომ ხომ არა, რომ ის თითქოსდა მარტივი სიტყვებით აზრთამეტყველების სრულყოფილ ნიმუშს ქმნიდა, რომელიც თავად ავტორის სულსაწიერიდან წამოსული უპირობო სიბრძნე იყო. აქ, ალბათ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეგზიუპერი მხოლოდ ზეციური შესაბამისობით აღიქვამდა „ადამიანთა მიწის“ ფიზიკურ თუ სულიერ რყევებს. მას ერთადერთი რამ სურდა, რომ ადამიანებს, ხე-მცენარეთა მსგავსად, კვლავ შეეგრძნოთ მიწის წიაღიდან აღმოცენების ნეტარება, რათა აღედგინათ მივიწყებული ზესწრაფვის შეგრძნება (ხე ხომ ჩვენი სამყაროს თვითმყოფადი „ვერტიკალია“ – „ზეციური კიბე“, ისევე როგორც მთა...). სავარაუდოდ, ეს სამყაროს პირველსაწყისისეულ სრულყოფილებასთან კვლავ დაბრუნების ერთგვარი მცდელობაა და სწორედ ამიტომაცაა, რომ ავტორმა ყოველგვარი ზეაწეული პათეტიკის, ხაზგასმული დიდაქტიკისა თუ ფილოსოფიური ბმების გარეშე შექმნა „ცხოვრების წაკითხვის“ ბუნებრივი უჩვეულობა „პატარა პრინცის“ სახით.

აქვე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა პრინცი“ სრულიად წამლევავი ხიბლით იპყრობს თავის მკითხველს, რადგან თავადაც მთელი ცხოვრება (პატარა პრინცის გამოჩენამდე) ეძებდა იმგვარ თანამესულეს, რომელიც ირაციონალური ხედვით შეიცნობდა სამყაროს. სწამდა, რომ გამოჩნდებოდა უჩვეულო მეგობარი, რომელსაც ოცნება საფრთხეს არ შეუქმნიდა, ყოველთვის გულით მოახერხებდა „კავშირების გაბმას“ და, რაც მთავარია, ჭკუამახვილობის ცრუ პათეტიკას აუცილებლად გაემიჯნებოდა.

ზოგჯერ გაიფიქრებთ, რომ მთელი სიმძაფრით ეს ნაწარმოები პანდემიურ¹ სივრცეში იქცა ჩვენთვის ერთგვარ სულისმოთქმად, რადგან განუზომელმა სევდისმეტყველებამ დაისადგურა „ადამიანთა მიწაზე“. იქ, სადაც დღის განმავლობაში მზე მხოლოდ ერთხელ ჩადიოდა. არადა სულ სხვაგვარად იყო პატარა პრინცის ციციქნა პლანეტაზე, სადაც მან „ერთ დღეს მზის ჩასვლა ორმოცდაოთხჯერ იხილა“² (ეგზი-

¹ იგულისხმება კოვიდპანდემია.

² ამ ეპიზოდთან დაკავშირებით არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ „ეგზიუპერის მამა 41 წლის იყო, როცა გარდაიცვალა, თავად ავტორი კი - 3 წლის, ექვსი წლისამ შეიტყო მამის გარდაცვალება, რომელიც ამ დროს 44 წლის უნდა ყოფილიყო. ორმოცდამეოთხეჯერ მზის ჩასვლის ხილვა არის მომენტი, როდესაც ფარდა აეხადა მამის გარდაცვალების საიდუმლოს“ (კადიფი, 2000, გვ. 25). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ეპიზოდის სახისმეტყველებითი გააზრებისას მნიშვნელოვანია რიცხვთა ფატალური მისტიკა.

უპერი, გვ. 29). მზის რიტუალური ჩასვლა სევდის ესთეტიკას უფრო წარმოსახვითს ხდიდა და სევდის გაუსაძლისი ნალექიც მზის ჩაქრობასთან ერთად ქრებოდა...

ამგვარი წიაღსვლების საშუალებას ამ ნაწარმოების სახისმეტყველებითი დიაპაზონი იძლევა, რომლის წყალობითაც სრულიად თავისუფლად შეიძლება აღმოჩნდე ეგზიუპერისეულ უდაბნოში.¹ იქ, სადაც ამქვეყნიური ცხოვრების კარიბჭეა (დედამიწის გაქვავებული საწყისი) და სადაც უდაბნოს ერთადერთ „მასპინძლად“ გველი² გვევლინება – „ყოფნა-არყოფნის“ მარადიული გასაღებით, რადგან იმავე სიკვდილის „დაბადება“-მარადიულობის წარმავლობით ჩანაცვლება მხოლოდ გველის „ბიბლიურ ბიოგრაფიას“ თანხვდება. ამ ზოომორფული სიმბოლოს მისტიკური ფენომენი მთლიანად კრავს არა მარტო „პატარა პრინცის“ სიუჟეტს, არამედ კაცობრიობის ისტორიის მთელ ნარატივს. ეს ეზოთერიკული თავსატეხი კი, თავისი ძირითადი ასპექტებით, გველის დღემდე შეუცნობელ არსს მიეწერება.

უთუოდ ამან განაპირობა ეგზიუპერის შედეგის ამგვარი დასაწყისი: *„მახრობელა გველები მსხვერპლს დაუღეჟავად ყლაპავენ. შემდეგ ვეღარ ინძრევიათ, ექვსი თვე სძინავთ და ნადავლს ინელებენ“* (ეგზიუპერი, 2003, გვ. 11). უფრო მეტი წვდომისათვის ამ პასაჟს დართული აქვს თავად ავტორის მიერ შექმნილი სიმბოლური ჩანახატი,³ სადაც გველი სპილოს შთანთქმის პროცესშია გამოსახული. თუმცა, ეს ილუსტრაცია უმეტესობის მიერ „ქუდად“ აღიქმებოდა, რადგან დიდებმა – უფროსებმა – ასოციაციური ხედვა უხსოვარ ბავშვობაში „და-

თავად ეგზიუპერი ხომ 44 წლის გარდაიცვალა. წელი, დღე, წუთი, წამი ხშირ შემთხვევაში სიმბოლურად თანხვდება ერთმანეთს.

¹ „უდაბნო – ჩვეულებრივ უწყალობის, უკაცრიელობის, მიუსაფრობის სიმბოლოა“ (აბზიანიძე, ელაშვილი, 2012, გვ. 68).

საგულისხმოა ისიც, რომ „პატარა პრინცის“ სიუჟეტი რეალურ ამბავს ეფუძნება; *„1935 წლის 29 დეკემბერს ეგზიუპერი თვითმფრინავის დაზიანების გამო საჰაერო უდაბნოში დაეშვა, სრულ სიმარტოვეში საკუთარ „ექოსთან“ მან ხუთი დღე დაღამე გაატარა და რომ არა მისი მეგობარი პრევი, ალბათ, დაიღუპებოდა“* (ზავადოვსკაია, 1998, გვ. 496).

² გველის სახისმეტყველება – „გველი ცხოველთა სიმბოლოთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალსახოვანია... ყველაზე გავრცელებული ანიმალისტური სიმბოლოა და მისი გამოსახულება, როგორც მფარველისა თუ როგორც მტრის, თან სდევს ადამიანს კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე...“ (აბზიანიძე, ელაშვილი, 2011, გვ. 51).

³ „პატარა პრინცის“ სახისმეტყველებას კიდევ უფრო ამძაფრებს ეგზიუპერისეული ილუსტრაციები.

ტოვებს“ და მიივიწყებს. ზრდასრულებს ხომ, როგორც წესი, მარტივად მხოლოდ რეალობის დაფიქსირება შეუძლიათ და, სამწუხაროდ, მიღმურ ჭეშმარიტებას გაურბიან. იმიტომ ხომ არა, რომ მიწიერებით მოიწამლნენ და სულიერებისაგან მეტ-ნაკლებად დაიცალნენ. მაგრამ ერთი კია, გველის პერიოდული „გაელვება“ ისევ გვაბრუნებს დაგმანულ სიბრძნესთან.

აზრთა ამ წყობიდან გამომდინარე, სავსებით მართებულია, რომ ხელახლა „გადავიკითხოთ“ „ადამიანთა მიწის“ ბიოგრაფია. ამასთანავე, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ როგორც პატარა პრინცი ბრუნდება გველის წყალობით თავის ციციქნა პლანეტაზე, ასევე ჩვენც, სამყაროდან გასვლის ჟამს, ის სრულიად უჩვეულო სააზროვნო სივრცეში აღმოგვაჩენს. იქ, სადაც გველი მისტიკურ მარწუხებში მოაქცევს ხოლმე მთელ ჩვენს ცხოვრებას და შეუცნობლობის ტაბუირებულ ბურუსშიაც ახვევს...

ეს ეზოთერიკული რეზუსი სენტ-ეგზისტან მარტივად გახდა შესაცნობი, რადგან მან გველის მომნუსხველ არსს საპირწონედ მელა¹ დაუყენა, მისი გამორჩეული „ცხოვრებისეული სიბრძნისმეტყველებით“. სწორედ მისი გამჭრიახობით დაეუფლება პატარა პრინცი „კავშირების გაბმის“ უზადლო ხელოვნებას, ანუ ურთიერთობის ერთგვარ ანბანს. მხოლოდ ეს უნივერსალური „ენა“ დაეხმარება მას თავისი პლანეტიდან გამოყოფილი გაუსაძლისი ტკივილის დამღევაში...

ამ სახისმეტყველებითი ქვეტექსტების მიღმა კი ჩვენი სამყაროს ყველაზე მომაკვდინებელი სენი, მარტოსულობა,² იკვეთება – სიცარიელის ყოვლისმშთანთქავი სტიქია. თუმცადა, იშვიათ შემთხვევაში თვითკმარობის საწყისიც, რომელიც სამყაროს შეცნობის დიაპაზონს კიდევ უფრო საცნაურს ხდის.

¹ მელიის სიმბოლური ბიოგრაფია – „მელა, ჩვენი ფოლკლორის უპოპულარესი პერსონაჟი, მსოფლიო კულტურათა უმეტესობაში ეშმაკობასა და ცბიერებას განასახიერებს... ძველ რომში მას „ცეცხლის დემონად“ თვლიდნენ... ჩინეთსა და მთელ აღმოსავლეთ აზიაში კი ითვლებოდა, რომ მელას განსაკუთრებული მომაჯადოებელი თვისებები აქვს... (აბზიანიძე, ელაშვილი, 2011, გვ. 140).

² მარტოსულობის ფენომენი შემოქმედებითი ხედვის თანმდევა. ასეთი იყო სენტ-ეგზიც – დროის წინმსწრები პიროვნება, რომელიც „*ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა მისწრაფებათა მრავალგვარობით: თხზავდა ლექსებს, ხატავდა, უკრავდა ვიოლინოზე, იყო უჩვეულო ფანტაზიის პატრონი, მაგრამ მისი ყველაზე დიდი გატაცება იყო ტექნიკა. თითქოსდა ის დაიბადა ახალი ეპოქისა და რიტმის გრძნობით*“ (კალუჟნაია, 2009, გვ. 397).

მეტი სიცხადისთვის თუ ემოციური სიმძაფრისათვის პატარა პრინცი გალაქტიკაში მოგზაურობისას თითქმის უკაცრიელ პლანეტებს (აქვე საგულისხმოა ისიც, რომ თითოეული პლანეტის სახელდება მხოლოდ რიცხვებში გამოიხატება...) გადააწყდება, სადაც მხოლოდ თითო ადამიანი სახლობს და ყოველი მათგანი სრულიად აბსურდული მონოსპექტაკლებით ცხოვრების ილუზიას განასახიერებს; იქნება ეს მეფე – „ყველაფრის მეუფე“, თუ თვითტკბობით დაავადებული ყოყლოჩინა, სირცხვილის გრძნობით შეპყრობილი ლოთი, თუ „საკუთარ თავზე არმზრუნავი“ მეფარნე, ანდა სერიოზული კაცის ნილაზმორგებული ბიზნესმენი თუ მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ჩაფლული გეოგრაფი, რომელიც წარმავლობისა და მარადიულობის უჩვეულო ბმის შესაცნობად პატარა პრინცს „დედამიწის მონახულებას ურჩევს“ (ეგზიუპერი, გვ. 57). გათითოვებული ეს უჩვეულო პლანეტები კი ის რუტინული ერთსახოვნებაა, სიმარტოვის უფსკრულთან რომ აღმოაჩენს ადამიანს.

სწორედ ამიტომ შეეცადა ეგზიუპერი ამ უჩვეულო სახისმეტყველებით შედეგში¹ ადამიანთა მოდგმისაგან გარიყული „მარტოდმთენილი სული“ ეხსნა, რომელთა რიგსაც, ნაცნობ-მეგობართა ფართო წრის მიუხედავად, თავადაც განეკუთვნებოდა და ხშირად სულიერი სიცარიელის შესავსებად საკუთარ წარმოსახვას აფარებდა თავს... ასე გამოჩნდა პატარა პრინცის ცხოვრებაში ვარდი.²

ერთი შეხედვით, აქ თითქოსდა ბანალური ამურული პლასტიკვითება – გრძნობის ქარიზმითა თუ საბედისწერო მომწესხველობით. აქვე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მრავლისმეტყველი კოსმიური ყვავილი „ღვთაებრივი სუნთქვითაა“ გაჯერებული, რომელიც იმავდროულად „სამყაროს ცენტრსაც“ განასახიერებს. ალბათ ამიტომაცაა მხატვრულ აზროვნებაში „ვარდისმეტყველება“ ასე ჭარბად. მაგრამ

¹ ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა პრინცის“ ქვეტექსტები იმდენად პოლისემანტურია, რომ მხოლოდ ინტერდისციპლინურ ჭრილში უნდა იყოს გააზრებული, რისი ერთ-ერთი ნიშნაცაა – ალიე საბაგიანი, „პატარა პრინცი“ და ფროდ-ლაკანური მიდგომა (საბაგიანი, 2017, გვ. 67-76).

² ვარდის სიმბოლიკა – „ვარდი ყველაზე პოპულარული სიმბოლიკა ყვავილთა სახისმეტყველებიდან ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. დასავლური ტრადიციით ვარდი სრულყოფილი ყვავილია, რომელიც სამყაროს ცენტრსა და კოსმიურ ბორბალს განასახიერებს; ამასთანავე – ღვთაებრივ, რომანტიკულ თუ გრძნობად სიყვარულს. თეთრი ვარდი უბიწობის, სიწმინდის, ქალიშვილობის სიმბოლიკაა, ხოლო წითელი კი – ვნებისა და ლტოლვის... აი, გადახსნილი ვარდი კი სიკვდილის სიმბოლიკა გახლავთ... (აბზიანიძე, ელაშვილი, 2011, გვ. 70).

ვარდის იდუმალების ესთეტიკა, გრძნობის უზენაესობით მაინც, მხოლოდ სენტ-ეგზიუპერიმ შექმნა; მასთან ვარდი ერთადერთიცაა და მრავალსახოვანიც – კოსმიურ ენერგიასაც აფრქვევს და ემოციათა უსასრულობაშიც ძირავს პატარა პრინცს. ამ წინააღმდეგობრივ განცდას ის მხოლოდ მელიის შთაგონებით უმკლავდება, რადგან თავისი სიბრძნით გამორჩეული მელია პატარა პრინცს სიყვარულის უნივერსალურ არსს აზიარებს და შეაცნობინებს „ერთადერთობისა და განუმეორებლობის“ ხიბლს, რომელიც თანადგომისა თუ თანაგანცდის „თვალთ უხილავი და გულით მოძებნილი“ სულისმეტყველებაა...

ცხოვრების ამგვარი „წაკითხვა“ ანტუან დე სენტ-ეგზიუპერიმ პატარა პრინცთან „თანაავტორობით“ შეძლო, საპირწონედ „ადამიანთა მიწაზე“ დაგმანული აგრესიისა, რათა შეეხსენებინა ის ელემენტარული ჭეშმარიტება (ამონარიდი მისივე წერილიდან¹), რომ „ჩვენ ყველა ერთი პლანეტის მობინადრენი ვართ და ერთი ხომალდის მგზავრები...“.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. (2011, 2012). სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, თბილისი: „ბაკმი“.
- ეგზიუპერი, ა. (2003). პატარა პრინცი, ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკი-ზაშვილმა, თბილისი „სანი“.
- Sabbaghian, Alieh. (2017). Pour une approche Freudolacanianne du Petit Prince, *Revue des Etudes de la Langue Française*, Volume 9, Issue 1, (de Série 16).
- Галлай, М. (1987). Антуан де Сент-Экзюпери, Избранное, Москва: “Правда”.
- Завадовская, С. Ю. (1998). Энциклопедия литературных героев, Москва: “АСТ”.
- Калюжная, Л. (2009). 100 Великих писателей, Москва: “ВФЧЕ”.

References:

- Abzianidze, Z. Elashvili K. (2011, 2012). Simbolota ilust'rirebuli entsik'lop'edia. [Illustrated Encyclopedia of Symbols]. Tbilisi: „Bak'mi“.
- Egziup'eri, A. (2003). P'at'ara p'rintsi. Prangulidan targmna Giorgi Ek'izashvilma. [The Little Prince]. Tbilisi: „Sani“.
- Gallay, M. (1987). Antuan de Sent-Ekzjuperi. Izbrano. [Antoine de Saint-Exupéry, Selected Works]. Moskva: “Pravda”.
- Kalyuzhnaja, L. (2009). 100 Velikich pisateley. [100 Great Writers]. Moskva: “VFČE”.
- Zavadovskaja, S. (1998). Enciklopedija literaturnych geroev. [Encyclopedia of Literary Heroes]. Moskva: “AST”.

¹ „...თვალი ბრმაა, გულით უნდა ეძებო...“ (ეგზიუპერი, გვ. 75).